საარჩევნო სისტემას და მისი განხორციელებისას დაცულია საყოველთაოობის, თანასწორობის, თავისუფლებისა და ფარულობის პრინციპები.

მნიშვნელოვანია, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს პოლიტიკურ თუ სამეცნიერო წრეებში კვლავაც აქტიურად განიხილება საკითხი, – საარჩევნო სისტემის ოპტიმალური მოდელის შერჩევის შესახებ. წარმოდგენილი კვლევის მიზანია – დადგინდეს, თუ რომელი საარჩევნო სისტემა არის ოპტიმალური საქართველოში წარმომადგენლობითი დემოკრატიის უზრუნველსაყოფად. სტატიაში, აგრეთვე, წარმოდგენილია საქართველოს საარჩევნო სისტემის შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო სისტემასთან, საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებასთან დაკავშირებით. კვლევაში განხილულია თეორიული ვარაუდები იმის შესახებ, თუ რა შედეგი ექნება საქართველოში სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, ასევე რა გავლენას მოახდენს ესა თუ ის საარჩევნო სისტემა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარისხზე. ნაშრომში განხილულია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო პრაქტიკა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება, გაანალიზებულია ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილება. სტატიის ბოლოს, დასკვნის სახით, შემოთავაზებულია საარჩევნო სისტემის კუთხით არსებული პრობლემის გადაჭრის შესაბამისი გზა.

საკვანძო სიტყვები: მაჟორიტარული, პროპორციული, შერეული

Current Reform of the Electoral System in Georgia

Sophio Demetrashvili

Doctor of Law,
Associate Professor at Faculty of Law and International Relations
at Georgian Technical University
Email: s.demetrashvili92@gmail.com

Nato Gugava

Doctor of Public Administration,
Assistant Professor at Faculty of Law and International Relations
at Georgian Technical University
Email: natogugava@yahoo.com

ABSTRACT

The degree of democracy in elections and the actual exercise of the right to vote depends on a variety of factors, most notably on the formation of high electoral culture and qualified election administration in society. Fair election is of essential importance in the process of assessing the

degree of democracy, which, in turn, includes the existence of a well-defined electoral system of the state. It should be noted that despite the efforts of the Georgian government to consolidate democratic achievements, the current society is marked by a lack of strong political will and experience that are characteristics of democratic governance.

It should be noted that one of the important preconditions for the consolidation of democratic institutions is the strengthening of political parties and, in particular, the maintenance of a multi-party system. Citizens' awareness of democracy and governance, modification of the governance system according to the circumstances and basing the legislation on the core values of democracy – freedom and political equality – are the main challenges of our state. Elections are the way in which a strong democratic governing body is created in a country if the elections are based on a flexible electoral system and the principles of universality, equality, freedom and secrecy are upheld.

It is important to note that the issue of choosing the optimal model of the electoral system is still being actively discussed in Georgian political and scientific circles. The aim of the presented research is to determine which electoral system is optimal for ensuring representative democracy in Georgia. The article also presents a comparative analysis of the Georgian electoral system with the electoral systems of different countries of the world and the formation of the legislature. The study discusses the theoretical assumptions about the outcome of the transition to a fully proportional system in Georgia, as well as the impact of particular electoral system on the quality of representative democracy. The paper discusses both, national and international practices, especially the experience of Post-Soviet countries, and analyses relevant court decisions. As a conclusion, article proposes the relevant way of solving the problem of the electoral system.

KEYWORDS: Majoritarian, Proportional, Mixed electoral systems

შესავალი

საქართველო კვლავაც დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და დემოკრატიული განახლების საკუთარი გზების ძიების პროცესშია, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ხალხის ნება. საარჩევნო სისტემა კი ხალხის ნების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა უნდა იყოს.

საქართველოს სამეცნიერო, სამოქალაქო და პოლიტიკურ წრეებში დღესაც მწვავედ განიხილება საარჩევნო სისტემის ცვლილებისა, მისი ოპტიმალური მოდელის შერჩევის საკითხი. ზოგიერთი საარჩევნო სისტემა ძლიერ პოლიტიკურ პარტიებს აძლევს უპირატესობას და ხელს უწყობს ერთპარტიული ან ორპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, ზოგიერთი, – საშუალო პარტიებს აძლევს წარმომადგენლების გაყვანის საშუალებას, რითაც მრავალპარტიულ სისტემას ამკვიდრებს. ზოგი მოდელი პარტიის ცენტრალიზებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს, ზოგი კი პირიქით – შიდაპარტიული ბრძოლის სტიმულირებას ახდენს.

ამდენად, აღნიშნული სტატიის მიზანია, საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, განიხილოს საარჩევნო სისტემები, შეაფასოს მათი სამართლებრივი მნიშვნელობა, საარჩევნო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. აღნიშნული საკითხის ფარგლებში, ასევე, არსებითად მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, სამართლიანია თუ არა არსებული საარჩევნო სისტემა და რამდენად ეფექტიანია არჩევნებში გამოვლე-

ნილი მოქალაქეთა პოლიტიკური ნების პრაქტიკაში რეალიზება. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისა და საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, შევეცდებით საარჩევნო სისტემების არსის განსაზღვრას, როგორც დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ფაქტორის, როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას, ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული, პროგრესული სახელმწიფოს შენების პირისპირ. კვლევის მიზანია, მსოფლიო ქვეყნების, განსაკუთრებით კი, პოსტსაბჭოთა ქვეყნების საარჩევნო სისტემების ანალიზის შედეგად, გამოვავლინოთ საქართველოს არსებულ რეალობაზე დაფუძნებული საჭიროებები საარჩევნო სისტემებთან მიმართებით. ამ მიზნით კი გავაანალიზოთ პრაქტიკაში არსებული პრობლემები და შევიმუშაოთ შესაბამისი რეკომენდაცია/წინადადებები.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა შედარებითსამართლებრივ და ანალიტიკურ სამეცნიერო მეთოდებს.

საარჩევნო სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები

საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო-სამართლებრივი ინსტიტუტია,[1] რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის გარკვეულ მახასიათებელსაც კი შეიცავს.[2] დღეისთვის არსებობს რამდენიმე სახის საარჩევნო სისტემა, რომელთა გამოყენებითაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საარჩევნო შედეგი შეიძლება დადგეს.[3]

სუვერენული სახელმწიფოსთვის საარჩევნო სისტემის არჩევა მკვეთრად პრივატულ საკითხსა და ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონსესუსის საგანს წარმოადგენს. მაგალითისათვის, უკრაინის პარლამენტმა, უმაღლესი რადას ფორმირების ახალი კანონის მიხედვით, უარი განაცხადა პარლამენტის პროპორციული სისტემით არჩევაზე და დაადგინა რადას შერეული – პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემა.[4] უკრაინის პარლამენტი შედგება 450 წევრისაგან, საიდანაც 225 მანდატი (ნახევარი) განაწილებულია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებზე, ხოლო, მეორე ნახევარის – 225 მანდატის არჩევა ხორციელდება პროპორციული სისტემით. ახალი კანონით ქვეყანაში გაიზარდა საარჩევნო ბარიერიც, კერძოდ, დღეს მოქმედი 3%-იანი ბარიერი შეიცვალა 5%-მდე და, ასევე, აიკრძალა პარტიათა ბლოკებით მონაწილეობა არჩევნებში. კანდიდატს უფლება აქვს იმყოფებოდეს, როგორც პროპორციულ, ასევე, მაჟორიტარულ სიაში. თუმცა, კანდიდატმა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით უნდა გადალახოს მინიმალური ზღვარი, კერძოდ, არჩევნებში მონაწილე ხმათა ნახევარზე მეტი, ან პარტიამ, პროპორციულის ნაწილში, უნდა გადალახოს 5%-იანი ზღვარი და შესაბამისი პროპორციული სიით გავიდეს კანდიდატი რადაში.[5] აღნიშნული ინიციატივის ავტორი იყო ოპოზიციური პოლიტიკური

1 Andrew, E., 4/2018. Electoral system design in the context of constitution-building. International IDEA Discussion Paper. p. 20.

2 German Electoral System and Its implementation in Georgia. 2019. [წვდომის თარიღი 19 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/en/german-model-of-the-election-system-and-its-implementation-in-georgia/

3 გეგენავა, დ. და სხვები., 2019. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 95.

4 კიღურაძე, კ., 2013. საარჩევნო სისტემები – საერთაშორისო გამოცდილება. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba

5 უკრაინის ვერხოვნა რადას არჩევნების შედეგები: ზელენსკის ექნება ერთპარტი-

პარტია, რომელიც განმარტავდა, რომ მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენების შემთხვევაში უკრაინის რადა დაკომპლექტდებოდა ოპოზიციის წარმომადგენლების უმრავლესობით, რისთვისაც ოპტიმალურ ვარიანტად მიიჩნეოდა პროპორციული საარჩევნო სისტემის ღია სიების გამოყენება, რომელსაც, ასევე, რეკომენდაციას უწევდა ვენეციის კომისიაც.[6]

საინტერესოა, რუმინეთის პრაქტიკაც, სადაც კომუნისტური სისტემის შეცვლის შემდეგ შემოიღეს წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემა დახურული სიებით, დაბალი საარჩევნო ზღვარითა და უმცირესობებისათვის გარანტირებული წარმომადგენლობით. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, რუმინეთის საარჩევნო სისტემა მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის მაჟორიტარული სისტემის ნაწილში, ვინაიდან, მის მხარდამჭერად მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალაა წარმოდგენილი. როგორც უკრაინაში, ასევე, რუმინეთშიც, საარჩევნო სისტემის 3%-იანი ზღვარი, 5%-მდე გაიზარდა, ხოლო, რაც შეეხება ბლოკებს, მათთვის 8%-იანი ბარიერი 10%-ით შეიცვალა. აგრეთვე, პროპორციულ საარჩევნო წარმომადგენლობით სისტემას დაემატა მაჟორიტარული ელემენტები და, შედეგად, ჩამოყალიბდა შერეული საარჩევნო სისტემა.[7]

აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობის მთავარი გამოწვევა დაკავშირებულია ისეთი საარჩევნო სისტემის არჩევასთან, რომლის მიხედვითაც არ ჩამოყალიბდება ერთპარტიული მმართველობა და ყურადღება მიექცევა პლურალიზმის პრინციპს.[8] აღნიშნული კი, შესაძლებელია ითქვას, რომ განპირობებულია იმ ფობიით, რასაც ტოტალიტარული მმართველობა ეწოდება.

გერმანული საარჩევნო მოდელი

მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის მიერ ინიცირებულმა კანონპროექტმა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვერ მოიპოვა პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის უმრავლესობა და აღნიშნული კანონპროექტი ჩავარდა, საზოგადოებაში გაჩნდა ე.წ. „გერმანული მოდელი“-ს შემოღების შესახებ აზრი.

გერმანული საარჩევნო მოდელისათვის დამახასიათებელია შერეული საარჩევნო სისტემა. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არჩევნებში მაინც მონაწილეობენ, თუმცა, პარტიებს პარლამენტში მხოლოდ იმ რაოდენობით შეჰყავთ დეპუტატები რამდენ პროცენტსაც მიიღებენ პროპორციული საარჩევნო სისტემის მეშვეობით. აღნიშნული მოდელის მთავარი პრინციპი ისაა, რომ პარლამენტართა ფიქსირებული რაოდენობის ცვლილება არ ხორციელდება, ვინაიდან ერთი პარტიიდან გაყვანილი დეპუტატების ჯამი, როგორც მაჟორიტარული, ისე, პრო-

---

ული უმრავლესობა. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.forumdaily.com/ka/rezultaty-vyborov-v-verxovnuyu-radu-ukrainy-kto-proxodit-v-parlament/

6 საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. 2020. ევროპული ქვეყნების პროპორციული საარჩევნო სისტემები და მათი თავისებურებები. N3/3. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/135961/

7 იხ. იქვე.

8 კვაშილავა, ბ., 2016. კონსტიტუციური წყობისა და საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე პოსტსოციალისტური ევროპის დემოკრატიებში. თბილისი: გვ. 58.

პორციული პრინციპით, დამოკიდებულია ამ პარტიის მიერ პროპორციულ არჩევნებში მიღებულ შედეგზე.[9] რეალურად გერმანული საარჩევნო მოდელი გულისხმობს, რომ „თუ ერთი ან რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ სუბიექტს/სუბიექტებს ეკუთვნის, მის/მათ პარტიულ სიას/სიებს მანდატები აღარ მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი სუბიექტებისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობა გადაიანგარიშება და გამოითვლება ფორმულით:

Nk = Mk x (150-P-P1):M1

რიცხვის მთელი ნაწილი, სადაც Nk არის k სუბიექტის (რომელმაც მაჟორიტარულ არჩევნებში გამოთვლილ კუთვნილზე ნაკლები მანდატი მოიპოვა) კუთვნილი მანდატების რაოდენობა, Mk არის მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, P – მაჟორიტარული სისტემით იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ზღურბლი, P1 – იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც მაჟორიტარულ არჩევნებში იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე მათ ეკუთვნოდათ, ხოლო M1 – იმ სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების ჯამი, რომლებმაც მაჟორიტარულ არჩევნებში უფრო ნაკლები მანდატი მოიპოვეს, ვიდრე მათ ეკუთვნოდათ. თუ ყველა Nk-ს ჯამი (150-P-P1)-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი დამატებით მიეკუთვნებათ იმ სუბიექტებს, რომლებსაც ზემოაღნიშნული Nk-ს გამოთვლისას მეტი ნაშთი აქვთ. ამის შემდეგ განისაზღვრება k სუბიექტის პარტიული სიისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობა. პარადოქსულია, რომ თავისუფალი მანდატი მიეკუთვნება იმ გარემოებების ანსამბლს, რომლებიც შესაძლებელს და გონივრულს ხდიან ფრაქციის შექმნას.[10]

გერმანული საარჩევნო სისტემა სრულიად განსხვავებულია. მმართველობის ფორმა არის არა პირდაპირი, არამედ წარმომადგენლობითი, სადაც ცენტრალურ როლს ასრულებენ არჩეული დეპუტატები. საკანონმდებლო გადაწყვეტილებები მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების მეშვეობით ფორმირდება. შესაბამისად, პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ, დეპუტატებზე მოდის. უფრო მეტიც, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, ხაზგასმულია ბუნდესტაგის* დეპუტატების როლი, რომლებიც ხალხს წარმოადგენენ. ამასთან, გერმანიის კონსტიტუცია რიგით ამომრჩევლებს მაკონტროლებლის ფუნქციასაც აკისრებს.

გერმანული საარჩევნო მოდელისათვის დამახასიათებელია შერეული სისტემა, რადგან დეპუტატების ნაწილი პარლამენტში ერთმანდატიანი ოლქის, ნაწილი კი პარტიული სიის მიხედვით გადის. რეალურად კი, ბუნდესტაგი პროპორციის პრინციპს იცავს. პარლამენტის შემადგენლობის ნახევარს ამომრჩეველი პირადად განსაზღვრავს.[11] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ქვეყნის ყველა სრულწლოვან (18 წლის და უფროს) მოქალაქეს აქვს 2 ხმის მიცემის უფლება. ამომრჩეველი პირველ

9 Chandra, K., 2012. Constructivist theories of ethnic politics. Retrieved from. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199893157.001.0001/acprof-9780199893157-chapter-1

10 მორლოკი, მ., 2019. პარტიების ფუნქციები და პარლამენტის მუშაობა. კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: უნივერსალი, გვ. 229.

* ქვეყნის პარლამენტი.

11 Donald, P. K. & Russell, A. M., 2012. The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany. Third Edition, Revised and Expanded, Chapter 5, p. 244.

ხმას კონკრეტულ კანდიდატს აძლევს, მეორეს კი – ამა თუ იმ პარტიის სიას. კერძოდ, გერმანიის სრულწლოვანი მოქალაქის ორი საარჩევნო ხმიდან უპირატესობა მეორეს ენიჭება, რაც განსაზღვრავს პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში, ბუნდესტაგში ძალების თანაფარდობას და ასევე იმას, თუ რომელი პარტიიდან იქნება კანცლერი, რომელსაც, როგორც წესი, ბუნდესტაგი ირჩევს. სწორედ, მეორე ხმით წყვეტს ამომრჩეველი ბუნდესატგში უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხს. როდესაც გაირკვევა, რამდენი ადგილი მიიღო ამა თუ იმ პარტიამ მეორე ხმების რაოდენობის მიხედვით, ამის შემდეგ სადეპუტატო მანდატები პარტიული სიის შესაბამისად ნაწილდება. მეორე ხმით გერმანიის საკანონმდებლო ორგანოში ადგილს იღებს ის პარტია, რომელმაც, სულ ცოტა, 5%-იანი ბარიერი გადალახა. ბუნდესტაგში ამა თუ იმ პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა მისთვის მიცემული მეორე ხმების მაჩვენებლის პირდაპირ პროპორციულია. ამ ადგილებს ავსებენ პარტიის ის კანდიდატები, რომელთაც ერთმანდატიან ოლქებში გაიმარჯვეს, თუ მათი რაოდენობა მიღებულ ადგილებზე ნაკლებია, მაშინ მანდატები პარტიული სიის მიხედვით ნაწილდება. თუ პირიქით მოხდა და ერთმანდატიან ოლქებში გამარჯვებულთა რაოდენობა მეტია, ვიდრე პარტიის მიერ მოპოვებული ადგილები, მაშინ ასეთი კანდიდატებისთვის დამატებითი მანდატი იქმნება. დღესდღეობით გერმანიაში არსებითი განხილვა მიმდინარეობს აღნიშნული სისტემის ნაკლოვანების აღმოფხვრაზე, ვინაიდან, ბუნდესტაგის არჩევის ზემოთ მითითებული სისტემით იზრდება დეპუტატების საერთო რაოდენობა. შედეგად კი, გერმანიის პარლამენტი 598 დეპუტატისაგან შედგება.[12]

2017 წლის 24 სექტემბრის ბუნდესტაგის არჩევნებს მოჰყვა ყველაზე ხანგრძლივი სამთავრობო კრიზისი, რომელიც ისტორიას არ ახსოვს მას შემდეგ, რაც კონსტიტუცია შემოიღეს.[13] არჩევნების შემდეგ ვერ ხერხდებოდა მთავრობის ფორმირება, დაიწყო კონფლიქტები პარტიის შიგნით. საბოლოოდ, აღნიშნული პროცესი ახალი კოალიციის შექმნით დასრულდა.[14]

საქართველოს საარჩევნო სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.[15] ასევე, სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება კანონის უზენაესობის პრინციპს.[16] არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ და თანამედროვე ცხოვრებაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების

12 გერმანული მოდელი. როგორ ირჩევენ პარლამენტის წევრებს გერმანიაში? [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/theme/523/germanuli-modeli-rogor-ircheven-parlamentis-tsevrebs-germaniashi

13 დე ვერგოტინი, ჯ., 2019. პარტიული სისტემის კრიზისი ევროპის მაგალითზე. კონსტიტუციონალიზმის მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: უნივერსალი, გვ. 74.

14 იხ. იქვე, გვ. 76.

15 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-4.

16 ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი, „კანონის უზენაესობა“, სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰაგის ინსტიტუტი (HiiL). [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf

წყაროა ხალხი,[17] ხოლო საქართველოს მოქალაქე „... ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „...იმისათვის, რომ შედგეს „ხალხის მმართველობა“, ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია“.[18] სწორედ, ამიტომ, არჩევნები წარმოადგენს იმ უმთავრეს ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელსაც „მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია“.[19] არჩევნები თავისთავად აჩენს განცდას და რწმენას ადამიანებში, რომ ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფო მართვაში. სამართლიანი საარჩევნო პროცესი, ეფექტიან საარჩევნო სისტემასთან ერთად, უზრუნველყოფს თანამედროვე, პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ქმნის დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ფუნდამენტს.[20] სახელმწიფო ორგანოების ლეგიტიმაცია, უშუალოდ ხალხის ნებიდან უნდა მომდინარეობდეს. იმისათვის, რომ მიაღწიონ ქვეყანაში ხალხის მმართველობას, აუცილებელია, რომ არჩევნებში მონაწილეობა, რეალურად, თანაბრად, იყოს ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისათვის. საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაც ასეთია, რომ არსებულმა საარჩევნო მოდელმა უზრუნველყოს ხალხის ნების თავისუფალი და თანასწორი ასახვა სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პროცესში.[21] სწორედ, რომ ხალხის ნება, მისი სრულყოფილი და თავისუფალი გამოხატვა არის ის ღირებულება, რისთვისაც ადამიანი უხსოვარი, ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის დასაბამიდან იბრძოდა.[22] ხალხის ნების გამოხატვა თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზებული ფორმითა და საშუალებებით ხდება.[23] ამასთან, „საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პროცესში ნეიტრალური ფაქტორი არ არის“.[24]

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოები აირჩევა შერეული სისტემით, ერთი ნაწილი პროპორციულით, მეორე კი მაჟორიტარული წესით.[25] საარჩევნო კოდექსის საფუძველზე შერეული სისტემით აირჩევა საქართველოს პარლამენტისა და ადგილო-

17 მუხლი 3, პუნქტი 2, საქართველოს კონსტიტუცია. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II, პუნქტი 8.

19 იხ. იქვე.

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II, პუნქტი 2.

21 იხ. იქვე, პუნქტი 4.

22 ფირცხალაშვილი, ა., 2015. პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მათი წვდომა ადმინისტრაციულ რესურსზე. აკადემიური მაცნე, 4, გვ. 6.

23 იხ. იქვე.

24 საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი. საარჩევნო სისტემები. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf

25 Lebanidze, B., 2016. Georgia's Democratic Dilemma. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://gip.ge/georgias-democratic-dilemma/

ბრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრების არჩევნები. საკონსტიტუციო ჩანაწერით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიც არსებული, შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდება, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წელს ამოქმედდება ე.წ. ბონუსის გარეშე და მანდატები პროპორციულად განაწილდება ყველა იმ პარტიაზე, რომელიც არჩევნებში ხმათა ხუთ პროცენტზე მეტს მიიღებს.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად, 2019 წელს აქტიურად მიმდინარეობდა საუბარი ე.წ. „გერმანულ საარჩევნო მოდელზე" გადასვლის თაობაზე, მისი მოდიფიცირებული ვარიაციებით, ხოლო დღეს, ერთი მხრივ, საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების მოთხოვნამ და ჩართულობამ, ხოლო, მეორე მხრივ, დიპლომატიურ კორპუსთან ფორმალური და არაფორმალური მოლაპარაკებების თითქმის სამთვიანმა ეტაპმა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ახალი შეთანხმება წარმოშვა.[26] 2020 წლის 8 მარტის შეთანხმების შედეგად, რომელიც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან, ის პარიტეტი, რომელიც ახლა არის წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციაში არ იცვლება, თუმცა საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციულთან მიახლოებული სისტემით ჩატარდება – 120/30. კერძოდ, მე-10 მოწვევის პარლამენტში პარტიული სიით 77-ის ნაცვლად 120 დეპუტატს ავირჩევთ, მაჟორიტარი კი 73-ის ნაცვლად 30-ი პირი აირჩევა.[27] აღნიშნული მოდელის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან გაიზრდება არჩევნების პროპორციულობა და ამომრჩევლის ნების შესაბამისად გადანაწილდება მანდატები. ცვლილება ერთჯერადად შეეხება საარჩევნო ბარიერსაც, რომელიც ახალი სისტემის მიხედვით, 1%-მდე დაიწევს. დაბალ საარჩევნო ბარიერს აქვს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი ნიშნები. დადებითად შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ მე-10 მოწვევის პარლამენტში ბევრი პატარა პარტია მოხვდება, რაც პარლამენტს პლურალისტურს და წარმომადგენლობითს გახდის. ასევე, საქართველოს პარლამენტში, თავისი წარმომადგენელი ეყოლება იმ პოლიტიკურ პარტიებს და სუბიექტებს, რომლებსაც მცირე ამომრჩევლის მხარდაჭერა გააჩნია. ხოლო, უარყოფითად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ერთი და იმავე იდეოლოგიის, ერთსა და იმავე პლათფორმაზე მდგომი პოლიტიკური პარტიების კიდევ უფრო ფრაგმენტიზაცია მოხდება, რამაც შესაძლოა, შეუშალოს ხელი გამართულ, შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ორიენტირებულ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდნენ, ე.წ. 40%-იანი ჩამკეტის შემოღებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკური ძალა, რომელსაც 40%-ზე ნაკლები მხარდაჭერა ექნება, პარლამენტში კი მოხვდება, მაგრამ მთავრობის დაკომპლექტებას ვერ შეძლებს. აღნიშნული საკითხი არა მხოლოდ შეთანხმების ფორმითაა და საჭიროებს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, არამედ დღეს ხდება მისი მეორე მოსმენით მიღება. თუმცა,შეთანხმების ეს მოდელიც, სამოქალაქო თუ სახელისუფლო წრეებში მაინც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ყველაზე მეტი კითხვა მაჟორიტარების ირგვლივ რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ მაჟორიტარული მანდატების შემცირება საარჩევნო ოლქების შემცირებას გულისხმობს და დღის წესრიგში ოლქების საზღვრების გადახედვა დადგება. საარჩევნო სისტემის ცვლილების

26 OSCE/ODIHR: Choice of electoral system is sovereign decision of state. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://agenda.ge/en/news/2020/368

27 What kind of electoral system do Georgians actually want. Analysis. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://oc-media.org/features/analysis-what-kind-of-electoral-system-do-georgians-actually-want/

პროცესში კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ მაჟორიტარები და საარჩევნო გეოგრაფიაა. ამ შემთხვევაშიც, საარჩევნო სისტემის უმთავრეს პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ საარჩევნო ოლქებს სხვადასხვა წონა აქვს, მაგალითად გლდანის საარჩევნო ოლქში 132 ათასზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული, ხოლო ყაზბეგში 6000-მდე,[28] არადა ორივე ოლქი ირჩევს ერთ წარმომადგენელს.[29] აღნიშნულიდან იკვეთება, რომ საარჩევნო სისტემა არ განიცდის ფუნდამენტურ ცვლილებებს და მაჟორიტარული სისტემით საარჩევნო მანდატების 73-დან 30-მდე შემცირების შემთხვევაში, კიდევ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი დარჩება საარჩევნო გეოგრაფიის საკითხი, კერძოდ კი, როგორ და რა პრინციპების დაცვით გადანაწილდება საარჩევნო ოლქები მაჟორიტარული სისტემით მანდატების განაწილებისათვის.[30] უდავოა, რომ საქართველოს საარჩევნო სისტემის დაყოფა მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისად, რაც მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ ტერიტორიული მოწყობის მიხედვით საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება იქნებოდა არსებითად უფრო გამართლებული, ვინაიდან დაცული იქნებოდა ერთგვარი ბალანსი, მით უფრო იმ ტერიტორიების გათვალისწინებით, სადაც ჩვენი იურისდიქცია სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ ვრცელდება. აქვე, ხაზგასასმელია, რომ საქართველოში არსებობს ორი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, შესაბამისად, ამ უკანასკნელთათვის განსაკუთრებული ადგილის დათმობა იქნებოდა უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე 3 მანდატი, თუმცა, რატომღაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხი, კვლავ ღიადაა დატოვებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაჟორიტარული არჩევნები თავის თავში გულისხმობს ტერიტორიულ წარმომადგენლობას, გადამეტებული არ იქნება ითქვას, რომ საარჩევნო ოლქების ასეთი გადანაწილება საქართველოს ისტორიულ ტერიტორიულ მოწყობასთანაც მოდის წინააღმდეგობაში, ვინაიდან „პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე პროვინციას, რომელმაც ისინი აირჩია“.[31]

აღსანიშნავია, რომ ხმების თანაბარწონადობის პრინციპი ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით* და, ამდენად, ეროვნული საარჩევნო კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრას ისე, რომ ხმათა თანასწორობას და ადეკვატურ წარმომადგენლობას მიაღწიონ, რაც საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლების რაოდენობის თანასწორობას გუ-

28 ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქების მიხედვით. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/geo/list/show/1316-amomrchevelta-raodenoba-olqebis-mixedvit-4423

29 აფრასიძე, დ., 2011. საარჩევნო სისტემა და პროცესი საქართველოში. თბილისი: გვ. 11.

30 The Majoritarian Bias in the Georgian Parliamentary Elections: Prospects for 2012. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.geowel.org/index.php?article_id=79&clang=0

31 მელქაძე, ო., 2015. საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში. თბილისი: უნივერსალი, გვ. 55.

* მაგალითად, ვენეციის კომისიის 2002 წლის „საარჩევნო ნორმათა კოდექსი“-ს მიხედვით, კენჭისყრის თანასწორობა ერთ-ერთი ძირითადი საარჩევნო პრინციპია, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო ოლქები იმგვარად უნდა იქნეს დადგენილი, რომ შესაბამისი მანდატები ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად გადანაწილდეს. აღნიშნული ნორმიდან გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10 %-ს. [წვდომის თარიღი: 29 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/401387?download=true

ლისხმობს, რომ მიღწიონ ხმათა თანაბარ „წონას“.[32] თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საარჩევნო სისტემით შერჩევით ვერ განისაზღვრება პარტიული სისტემების და ამომრჩევლის სტაბილურობა. ამ მხრივ, საინტერესოა, ლიტვისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი. კონკრეტულად ამ ორი სახელმწიფოს შერჩევა ეფუძნება ინტერესს, რომელიც გამოწვეულია ერთი მხრივ, დემოგრაფიული, ტერიტორიული, წარსული გამოცდილებისა და საარჩევნო სისტემის მსგავსებით, ხოლო, მეორე მხრივ, პარტიული პოლიტიკის განსხვავებულობით; კერძოდ, ორივე ქვეყანაში მორიგი საპარლამენტო არჩევნები იმართება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ შერეული საარჩევნო სისტემით, სადაც დაახლოებით ნახევარი დეპუტატებისა ირჩევა ეროვნულ-პროპორციული წესით, ხოლო დანარჩენი ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებიდან. ამის მიუხედავად, 2016 წლის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების შედეგად ლიტვის სეიმი არის მრავალპარტიული (ყველაზე მეტი დეპუტატი ჰყავს პოლიტიკურ პარტიას – ფერმერთა და მწვანეთა გაერთიანება, 141 ადგილიდან 56), ხოლო საქართველოს პარლამენტი – არა (ყველაზე მეტი დეპუტატი ,,ქართულ ოცნებამ“ მოიპოვა (150 ადგილიდან 115). მსგავს საარჩევნო სისტემას ემატება ფაქტი, რომ ორივე სახელმწიფოს უახლესი ისტორიის ნაწილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში აქვს გატარებული, სადაც ერთადერთი პარტია არსებობდა, ეს კი ქმნის მოლოდინს, რომ მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს მათი პარტიული სისტემები. თუმცა, განსხვავებები აშკარაა. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ევროპის საარჩევნო მონაცემთა ბაზის მიხედვით[33], კვლევის ფარგლებში დადგინდა ორი ქვეყნის პედერსენის ინდექსი[34], რაც ორ თანმიმდევრულ არჩევნებზე ამომრჩევლის სიმპათიის ცვლილებას ასახავს.[*] განსხვავებულია ამომრჩევლის ქცევაც ამ ორ ქვეყანაში. ამომრჩევლის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ საქართველოს შემთხვევაში პარტიები, რომლებიც წარმატებას აღწევენ, როგორც წესი, შემდგომში ქრებიან. ლიტვაში 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 5.8% პროცენტი ენდობა პარტიებს, ხოლო საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, პარტიებს ენდობა გამოკითხულთა 2%-ი.[35] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ საარჩევნო სისტემის ცვლილებით ვერ აღმოიფხვრება ის პრობლემები, რასაც პარტიული სისტემისა და ამომრჩევლის სტაბილურობა ჰქვია.

32 ა.ა.ი.პ. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს 2015 წლის 22 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. [წვდომის თარიღი: 29 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1956

33 European Election Database. [წვდომის თარიღი: 30 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://eed.nsd.uib.no/webview/index

34 დანიელი მკვლევარის მოგენს პედერსენის პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსი (Pedersen, 1979), რომელიც ასახავს პარტიების წარმომადგენლობის ცვლილების დონეს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებიდან არჩევნებამდე.

* Making Votes Coubnt: Pre-analusis Report on Electortal Statistics, Founded through the Democracy Commission Small Grant ZProgram, U.S. Embassy in Georgia. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/DEFDA_Report_CRRC%20ENG.pdf

35 სილაგაძე, გ., 2017. გამმიჯნავი ხაზების პრობლემა საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში: მიზეზები და შედეგები. გვ. 13-14.

დასკვნა

დემოკრატიის შეცნობა, მოქალაქეთა თანდათანობით ზიარება სახელმწიფოს მმართველობის საქმიანობასთან, მმართველობის სისტემის შესაბამისობაში მოყვანა დროსა და სივრცესთან, მმართველობის მოდიფიცირება გარემოებათა მიხედვით და კანონმდებლობის დაფუძნება დემოკრატიის უმთავრეს ღრებულებებზე – თავისუფლებასა და პოლიტიკურ თანასწორობაზე წარმოადგენს ჩვენს სახელმწიფოში არსებული რეალობის უმთავრეს გამოწვევას. არჩევნები დემოკრატიის ინსტიტუტი იქნება ნებისმიერი საარჩევნო სისტემის მოქმედებისას თუ დაცული იქნება არჩევნების საყოველთაობა, თანასწორობა, თუ იგი იქნება თავისუფალი და ფარული, ჩატარდება დემოკრატიულ გარემოში.

სამართლის მეცნიერება უნდა ემსახურებოდეს არსებული პოზიტიური კანონმდებლობის დახვეწა-განვითარებას, შესაბამისად. წინამდებარე სტატიაში, ჩვენს მეერ მიმოხილულია საარჩევნო სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები და ის გამოწვევები, რაც ამ მიმართულებით საქართველოში არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების განხორციელებასთან დაკავშირებით, ეს საკითხი, საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგში დგას, ჯერ კიდევ საბოლოო კონსესუსი არ არსებობს, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლებო ძალების მიერ შემოთავაზებული მოდელით არჩევნების დემოკრატიულ და სამართლიან გარემოში ჩატარებისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, საარჩევნო ოლქების ანუ საარჩევნო გეოგრაფიის სამართლიანი გადანაწილება, ხოლო, მეორე მხრივ, – მოქალაქის საარჩევნო უფლების იმ სისტემით რეალიზება, რომლითაც დაცული იქნება ამომრჩევლის თანასწორობის პრინციპი.

დასკვნის სახით კი, შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის საპარლამეტო არჩევნებისთვის შემოთავაზებული საარჩევნო სისტემის მოდელი, ბევრად უკეთესია უკვე არსებულ საარჩევნო სისტემის მოდელთან შედარებით, თუმცა, ერთი მხრივ, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემიდან სრულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, ან მეორე მხრივ, არსებული მაჟორიტარული სისტემის გაუმჯობესება, შესაბამისი სავალდებულო ცენზებით დატვირთვა, რა თქმა უნდა, აღნიშნულ მოდელს უფრო ეფექტიანს გახდიდა. მიუხედავად იმისა, რომ არ ვემხრობი სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას (ავტორი ს.დ.), მიმაჩნია, რომ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ამ ეტაპისთვის უდავოდ სწორი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ვიმედოვნებ, რომ სამომავლოდ, საქართველოში ჩამოყალიბდება ისეთი საარჩევნო სისტემა, სადაც მაჟორიტარებიც იქნებიან წარმოდგენილნი. რა თქმა უნდა, არა იმ ფორმით, როგორიც დღეს არსებობს ჩვენს ქვეყანაში, არამედ საკანონმდებლო დონეზე უფრო დახვეწილი ელემენტებით, გამკაცრებული ცენზებით (მაგალითად, ბინადრობის ცენზი, ასაკობრივი ცენზი და სხვ.) რაც უდავოდ, დადებითად აისახება საკანონმდებლო დონეზე მკვეთრად „გაკეთილშობილებული“ ნორმები პრაქტიკაში აღსრულების დროს.

ბიბლიოგრაფია:

1. ა.ა.ი.პ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს 2015 წლის 22 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1956
2. ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქების მიხედვით. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/geo/list/show/1316-amomrchevelta-raodenoba-olqebis-mixedvit-4423
3. გერმანული მოდელი. როგორ ირჩევენ პარლამენტის წევრებს გერმანიაში? [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/theme/523/germanuli-modeli-rogor-ircheven-parlamentis-tsevrebs-germaniashi
4. დე ვერგოტინი., ჯ., პარტიული სისტემის კრიზისი ევროპის მაგალითზე. კონსტიტუციონალიზმის მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: უნივერსალი.
5. კიღურაძე, კ., საარჩევნო სისტემები - საერთაშორისო გამოცდილება. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba
6. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. ევროპული ქვეყნების პროპორციული საარჩევნო სისტემები და მათი თავისებურებები. N3/ [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/135961/
7. უკრაინის ვერხოვნა რადას არჩევნების შედეგები: ზელენსკის ექნება ერთპარტიული უმრავლესობა. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.forumdaily.com/ka/rezultaty-vyborov-v-verxovnuyu-radu-ukrainy-kto-proxodit-v-parlament/
8. Anrew, E., 4/ Electoral system design in the context of constitution-building. International IDEA Discussion Paper.
9. Chandra, K., Constructivist theories of ethnic politics. Retrieved from [წვდომის თარიღი: 25

Bibliography:

1. Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity International Transparency - Opinion of a friend of the Court of Georgia of October 22, [viewed 22 May 2020] Available from: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1956 (in Georgian)
2. Number of voters by constituencies. [viewed 29 May 2020]. Available from: https://cesko.ge/geo/list/show/1316-amomrchevelta-raodenoba-olqebis-mixedvit-4423 (in Georgian)
3. German model. How are Members of Parliament elected in Germany? [viewed 25 May 2020]. Available from: https://imedinews.ge/ge/theme/523/germanuli-modeli-rogor-ircheven-parlamentis-tsevrebs-germaniashi (in Georgian)
4. De Vergottini, G., The Crisis of the Party System on the Example of Europe. Achievements and challenges of constitutionalism. Tbilisi: Universal. (in Georgian)
5. Kighuradze, K., Election Systems - International Experience. [viewed 25 May 2020]. Available from: https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba (in Georgian)
6. Research Center of the Parliament of Georgia. Proportional Electoral Systems of European Countries and Their Peculiarities. N3 / [viewed 25 May 2020]. Available from: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/135961/ (in Georgian)
7. Ukrainian Verkhovna Rada Election Results: Zelensky will have a one-party majority. [viewed 25 May 2020]. Available from: https://www.forumdaily.com/ka/rezultaty-vyborov-v-verxovnuyu-radu-ukrainy-kto-proxodit-v-parlament/ (in Georgian)
8. Anrew, E., 4/ Electoral system design in the context of constitution-building. International IDEA Discussion Paper. (in English)
9. Chandra, K., Constructivist theories of ethnic politics. Retrieved from [viewed 25 May 2020]. Available from:http://www.oxfordscholarship.com/view/1093/acprof:oso/0001/acprof-9780199893157-chapter-1 (in English)

მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://www.oxfordscholarship.com/view/1093/acprof:oso/0001/acprof-9780199893157-chapter-1

10. Donald, P., K. & Russell, A. M., The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany. Third Edition, Revised and Expanded, Chapter
11. German Electoral System and Its implementation in Georgia. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/en/german-model-of-the-election-system-and-its-implementation-in-georgia/
12. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/gg/BJNRhtml
13. European Election Database. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://eed.nsd.uib.no/webview/index
14. Lebanidze, B., Georgia's Democratic Dilemma. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://gip.ge/georgias-democratic-dilemma/
15. Making Votes Coubnt: Pre-analusis Report on Electortal Statistics, Founded through the Democracy Commission Small Grant ZProgram, U.S. Embassy in Georgia. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/DEFDA_Report_CRRC%20ENG.pdf
16. The Majoritarian Bias in the Georgian Parliamentary Elections: Prospects for [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.geowel.org/index.php?article_id=79&clang=0
17. What kind of electoral system do Georgians actually want. Analysis. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://oc-media.org/features/analysis-what-kind-of-electoral-system-do-georgians-actually-want/

10. Donald, P., K. & Russell, A. M., The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany. Third Edition, Revised and Expanded, Chapter. (in English)
11. German Electoral System and Its implementation in Georgia. [viewed 25 May 2020]. Available from: https://osgf.ge/en/german-model-of-the-election-system-and-its-implementation-in-georgia/ (in English)
12. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. [viewed 25 May 2020]. Available from: https://www.gesetze-im-internet.de/gg/BJNRhtml (in Germany)
13. European Election Database. [viewed 25 May 2020]. Available from: http://eed.nsd.uib.no/webview/index (in English)
14. Lebanidze, B., Georgia's Democratic Dilemma. [viewed 25 May 2020]. Available from: http://gip.ge/georgias-democratic-dilemma/ (in English)
15. Making Votes Coubnt: Pre-analusis Report on Electortal Statistics, Founded through the Democracy Commission Small Grant ZProgram, U.S. Embassy in Georgia. [viewed 25 May 2020]. Available from: http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/DEFDA_Report_CRRC%20ENG.pdf (in English)
16. The Majoritarian Bias in the Georgian Parliamentary Elections: Prospects for [viewed 25 May 2020]. Available from: https://www.geowel.org/index.php?article_id=79&clang=0 (in English)
17. What kind of electoral system do Georgians actually want. Analysis. [viewed 25 May 2020]. Available from: https://oc-media.org/features/analysis-what-kind-of-electoral-system-do-georgians-actually-want/ (in English)

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

Normative materials:

1. Constitution of Georgia. [viewed 22 May 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 (in Georgian)

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-4.

Judicial Practice:

1. Judgment of the Constitutional Court of Georgia of December 27, 2010, № /1/493 Decision on the case, Political Political Unions of Citizens: New Rights and Conservative Party of Georgia v. Parliament of Georgia. (in Georgian)
2. Decision of the Constitutional Court of Georgia of 28 May 2015, №1/3/547 in the case of Ucha Nanuashvili and Mikheil Sharashidze, Citizens of Georgia v. Parliament of Georgia. (in Georgian)
3. Judgment of the Constitutional Court of Georgia of March 27, 2017, №1/4/757 on the case, Citizen of Georgia Giorgi Kraveishvili v. The Government of Georgia, II- (in Georgian)

Notes:

1. Andrew, E., 4/ Electoral system design in the context of constitution-building. International IDEA Discussion Paper. p. (in English)
2. German Electoral System and Its implementation in Georgia. [viewed 19 May 2020]. Available from: https://osgf.ge/en/german-model-of-the-election-system-and-its-implementation-in-georgia/ (in English)
3. Gegenava, D. & others, Constitutional Law of Georgia. Tbilisi: Sulkhan-Saba Orbeliani University Press, p. (in Georgian)
4. Kiguradze, K., Election Systems - International Experience. [viewed 25 May 2020]. Available from: https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba (in Georgian)
5. Ukraine Verkhovna Rada Results of Elections: Zelensky will have a one-party majority. [viewed 25, May 2020] Available from: https://www.forumdaily.com/ka/rezultaty-vyborov-v-verxovnuyu-radu-ukrainy-kto-proxodit-v-parlament/ (in Georgian)
6. Research Center of the Parliament of Georgia. Proportional Electoral Systems of European Countries and Their Peculiarities. N3 / [viewed 25 May 2020]. Available from: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/135961/ (in Georgian)
7. Ibid.
8. Kvashilava, B., The Influence of the Constitutional Formation and the Election System on the Development of Political Parties in Post-Socialist European Democracies. Tbilisi: p. (in Georgian)
9. Chandra, K. Constructivist theories of ethnic politics. Retrieved from [viewed 26 May 2020]. Available from: http://www.oxfordscholarship.com/view/1093/acprof:oso/0001/acprof-9780199893157-chapter-1 (in English)
10. Morlock, M., party functions and the work of parliament. Constitutionalism Achievements and Challenges. Tbilisi: Universal, p. (in Georgian)
11. Donald, P., K. & Russell A. M., The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany. Third Edition, Revised and Expanded, Chapter 5, p. (in English)
12. German model. How are Members of Parliament elected in Germany? [viewed 25 May 2020]. Available from: https://imedinews.ge/ge/theme/523/germanuli-modeli-rogor-ircheven-parlamentis-tsevrebs-germaniashi (in

Georgian)
13. de Vergottini, G., The Crisis of the Party System on the Example of Europe. Achievements and challenges of constitutionalism. Tbilisi: Universal, p. (In Georgian)
14. Ibid, p.
15. Judgment of the Constitutional Court of Georgia of March 27, 2017 №1 / 4/757 on the case, Citizen of Georgia Giorgi Kraveishvili v. The Government of Georgia, II- (in Georgian)
16. Raoul Wallenberg Institute for Human Rights and Humanitarian Law., Rule of Law, Hague Institute for the Internationalization of Law (HiiL). [viewed 30 May 2020]. Available from: https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf (in Georgian)
17. Article 3 (2), Constitution of Georgia. [viewed 30 May 2020] Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 (in Georgian)
18. Decision of the Constitutional Court of Georgia of December 27, 2010 №1 / 1/493 on the case, Political Associations of Citizens: New Rights" and Conservative Party of Georgia v. Parliament of Georgia, para. II, paragraph (in Georgian)
19. Ibid.
20. Decision of the Constitutional Court of Georgia of May 28, 2015 on the case of Ucha Nanuashvili and Mikheil Sharashidze, Citizens of Georgia v. Parliament of Georgia , paragraph II, paragraph (in Georgian)
21. Ibid, Paragraph
22. Pirtskhalashvili, A., Constitutional-Legal Importance of Political Parties and Their Access to Administrative Resources. Academic Herald, 4, p. (in Georgian)
23. Ibid.
24. Research Department of the Parliament of Georgia. Election systems. [viewed 19 May 2020]. http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf (in Georgian)
25. Lebanidze, B., Georgia's Democratic Dilemma. [viewed 28 May 2020]. Available from: http://gip.ge/georgias-democratic-dilemma/ (in English)
26. OSCE/ODIHR: Choice of electoral system is sovereign decision of state. [viewed 1 June 2020]. Available from: https://agenda.ge/en/news/2020/368 (in English)
27. What kind of electoral system do Georgians actually want. Analysis. [viewed 1 June 2020]. Available from: https://oc-media.org/features/analysis-what-kind-of-electoral-system-do-georgians-actually-want/ (in English)
28. Number of voters by constituencies. [viewed 29 May 2020]. Available from: https://cesko.ge/geo/list/show/1316-amomrchevelta-raodenoba-olqebis-mixedvit-4423 (in Georgian)
29. Aprasidze, D., Election System and Process in Georgia. Tbilisi: p. (in Georgian)
30. The Majoritarian Bias in the Georgian Parliamentary Elections: Prospects for [viewed 29 May 2020]. Available from: https://www.geowel.org/index.php?article_id=79&clang=0 (in English)
31. Melkadze, O., Election Law in World Practice and Georgian Modifications. Tbilisi: Universal, p. (in Georgian)
32. Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity Transparency International - Opinion of a friend of the Court of Justice of Georgia of 22 October [viewed 29 May 2020]. https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1956 (in Georgian)
33. European Election Database. [viewed 30 May 2020]. Available from: http://eed.nsd.uib.no/webview/index (in Georgian)
34. The Danish researcher cites the Pedersen Index of Political Stability (Pedersen, 1979), which reflects the level of change in the representation of parties in the legislature from election to election. (in Georgian)
35. Silagadze, G., The Problem of Separating Lines in Georgian Party Policy: Causes and Consequences, pp. 13- (in Georgian)